

დანართი #1

დამტკიცებული რექტორის 2012 წლის 12 ოქტომბრის # 281/12 ბრძანებით

ცვლილება #1 რექტორის 2012 წლის #342/12 ბრძანებით

ცვლილება №2 დამტკიცებული შპს „საქართველოს

უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრების 2014 წლის 30 მაისის 5/14 ოქმით

ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით

სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი

მუხლი 1. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

1. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“) კოორდინაციას უწევს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტის“) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

2. ინსტიტუტის ძირითადი ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსაზღვრის ორგანიზება;

ბ) უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული კვლევების განხორციელებისათვის და სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გ) უნივერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა;

დ) ამოღებულია; (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)

ე) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ კვლევების წარმოებისთვის გამოცხადებული ყოველწლიური გრანტის გაცემის საკონკურსო პირობების განსაზღვრა, შერჩევის ეტაპების ორგანიზება, გამარჯვებული პროექტის გამოვლენა და მონიტორინგი;

ვ) საერთაშორისო, ადგილობრივ, უცხოურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან ინსტიტუციონალური თანამშრომლობა სამეცნიერო, კულტურული და საინფორმაციო სფეროებში; კვლევების შედეგების პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების მეშვეობით კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებსა და ბიზნეს-სექტორთან;

ზ) უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევართა საერთაშორისო საგანმანათლებლო და აკადემიური განვითარების მიზნით სხვადასხვა პროგრამების განხორციელება და მოხილობის სტიმულირება (სტაჟირება, სწავლება, გაცვლითი პროგრამები, გრანტები, სტიპენდიები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.);

თ) უნივერსიტეტის საინფორმაციო მხარდაჭერა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე, მათ შორის საინფორმაციო მასალებით უზრუნველყოფა.

ი) საერთაშორისო კონგრესების, კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და გამოფენების ორგანიზების ხელშეწყობა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ.

3. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც არის უნივერსიტეტის დირექტორის მოადგილე უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზების მიმართულებით და რომელზეც დირექტორის გადაწყვეტილებით ხდება ცალკეული ფუნქციის დელეგირება.

(ცვლილება №2 დამტკიცებული შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრების 2014 წლის 30 მაისის 5/14 ოქმით)

4. ინსტიტუტის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი. (ცვლილება №2 დამტკიცებული შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრების 2014 წლის 30 მაისის 5/14 ოქმით)

დანართი #1

დამტკიცებული რექტორის 2012 წლის 12 ოქტომბრის # 281/12 ბრძანებით

ცვლილება #1 რექტორის 2012 წლის #342/12 ბრძანებით

ცვლილება №2 დამტკიცებული შპს „საქართველოს

უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრების 2014 წლის 30 მაისის 5/14 ოქმით

ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით

5. ინსტიტუტის დირექტორის დაქვემდებარებაშია:

დანართი #1

დამტკიცებული რექტორის 2012 წლის 12 ოქტომბრის # 281/12 ბრძანებით

ცვლილება #1 რექტორის 2012 წლის #342/12 ბრძანებით

ცვლილება №2 დამტკიცებული შპს „საქართველოს

უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრების 2014 წლის 30 მაისის 5/14 ოქმით

ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით

- ა) ამოღებულია; (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)
- ბ) ამოღებულია; (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)
- გ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილება;
- დ) ამოღებულია; (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)
- ე) ამოღებულია; (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)
- ვ) სამეცნიერო ჟურნალის ”კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალი“ („Caucasus Journal of Social Sciences“) რედაქცია;
- ზ) ამოღებულია. (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)

მუხლი 2. ინსტიტუტის ფუნქციები

ინსტიტუტის ფუნქციებია:

- ა) ინსტიტუტის კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მუშაობის კოორდინაცია და ხარისხის უზრუნველყოფა, რისთვისაც ინსტიტუტის ბაზაზე ასევე მუშაობს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კომისია;
- ბ) საერთაშორისო და ადგილობრივ, უცხოურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან სამეცნიერო, კულტურული და საინფორმაციო სფეროებში ურთიერთობის კოორდინაცია;
- გ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობისა და განხორციელების მიზნით საქმიანი კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, ცენტრებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, ბიზნეს-სექტორთან და სხვა;
- დ) ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევებისთვის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კომისიის მიერ უნივერსიტეტის გრანტის მოსაპოვებლად კონკურსის ჩატარება, პროექტების რეგისტრაცია და მიმდინარეობის მონიტორინგი.
- ე) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კომისიის მიერ სამეცნიერო მივლინებების კონკურსის წესით დაფინანსება.

მუხლი 3. ინსტიტუტის დირექტორი

ინსტიტუტის დირექტორი:

- ა) უძღვება სამეცნიერო-კვლევით პროცესს, საუნივერსიტეტო სემინარებს და კონფერენციებს, რომელშიც ჩართული არიან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები;
- ბ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის მონაწილეობას სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში;
- გ) ამოღებულია; (ცვლილება №2 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)

დანართი #1

დამტკიცებული რექტორის 2012 წლის 12 ოქტომბრის # 281/12 ბრძანებით

ცვლილება #1 რექტორის 2012 წლის #342/12 ბრძანებით

ცვლილება №2 დამტკიცებული შპს „საქართველოს

უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრების 2014 წლის 30 მაისის 5/14 ოქმით

ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით

დ) სკოლის დირექტორებთან ერთად განიხილავს სკოლების მიერ გამოსაცემად წარმოდგენილ ახალ სახელმძღვანელოებს, ადგენს მათ შესაბამისობას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესთან და ვიზირებს მათ გამოცემას;

ე) ადგენს საუნივერსიტეტო აკადემიური ჟურნალის: “Caucasus Journal of Social Sciences”-ის რედაქციას და პასუხს აგებს მის აკადემიურ დონეზე;

ვ) სკოლის დირექტორებთან ერთად ადგენს საქართველოს უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო-კვლევით თემატიკას;

ზ) წარმართავს და კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სკოლებსა და სკოლების სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

თ) სკოლის დირექტორებთან, ცენტრებისა და პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშავებს საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკასა და მოცულობას, ადგენს პრიორიტეტებს, განიხილავს მოსალოდნელ შედეგებს, ანაწილებს

სამუშაოს დროში; (ცვლილება №2 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)

კ) ამოღებულია; (ცვლილება №2 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)

ლ) განასაზღვრავს კვლევითი სამუშაოს ბიუჯეტს. ქმნის კომისიას სკოლებიდან და ცენტრებიდან წარმოდგენილი საკვლევო პრობლემატიკისა და პროექტების განსახილველად;

მ) იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების ორგანიზების თაობაზე;

ო) გასცემს საუნივერსიტეტო აკადემიურ ჟურნალში, თუ სხვა საერთაშორისო ჟურნალებში გამოსაცემი სტატიებისა და შრომებისათვის საჭირო რეკომენდაციებს, რეცენზიებსა და ვიზებს; ასევე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ვიზირებას.

მუხლი 4. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა განყოფილება

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა განყოფილების ფუნქციაა შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო კვლევების წარმოება.

მუხლი 5. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება

ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების ფუნქციაა შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო კვლევების წარმოება.

მუხლი 6. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილება

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილების ფუნქციაა:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ჩართულობის ზრდას სამეცნიერო-კვლევით სფეროში, ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებში და სამეცნიერო ცენტრებში ცნობადობის ამაღლებას, მათთან არსებული კავშირების გამყარებას და ახალი კონტაქტების

დანართი #1

დამტკიცებული რექტორის 2012 წლის 12 ოქტომბრის # 281/12 ბრძანებით

ცვლილება #1 რექტორის 2012 წლის #342/12 ბრძანებით

ცვლილება №2 დამტკიცებული შპს „საქართველოს

უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრების 2014 წლის 30 მაისის 5/14 ოქმით

ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით

ჩამოყალიბებას;

ბ) ინსტიტუტში წარდგენილი/მიმდინარე/შესრულებული პროექტების რეგისტრაცია და მიმდინარეობის მონიტორინგი;

გ) აკადემიური პერსონალის საერთაშორისო საგანმანათლებლო და აკადემიური განვითარების მიზნით მობილობის სტიმულირება;

დ) მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან პარტნიორობით აკადემიური პერსონალის განვითარების და მხარდაჭერის პროგრამების ხელშეწყობა-განხორციელება (სტაჟირება, სწავლება, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, გამოჩენილი მეცნიერების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და ა.შ.);

ე) საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და ადგილობრივი ფონდების მიერ ახალი საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება, უნივერსიტეტში მისი გავრცელება, აკადემიური პერსონალისათვის საკონსულტაციო მომსახურება საგრანტო პროექტების მომზადება-განხორციელებაში და არსებულის მუშაობის კოორდინირება და ადმინისტრირება. ასევე, წარდგენილი/მიმდინარე/შესრულებული პროექტების (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი) მონიტორინგი;

ვ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური პროექტებში მონაწილეობისა და განხორციელების მიზნით საქმიანი კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, ცენტრებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, ბიზნეს-სექტორთან და სხვ.;

ზ) სათანადო ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისთვის რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტის ბიუჯეტში აკადემიური პერსონალის განვითარებისა და პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო განაწილების შესახებ;

თ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურებიდან აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა, მათ შორის აკადემიური განვითარებისა და სამეცნიერო შინაარსის მივლინებათა, მიმდინარე საგრანტო პროექტების შესახებ;

ი) საუნივერსიტეტო სკოლების მიერ კვლევითი ან ანალიტიკური სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებისას საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხილვა და დასკვნის მომზადება.

მუხლი 7. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კომისია

1. ამოღებულია. (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)

2. კომისია ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით პროექტების შერჩევას და სამივლინებო გრანტის შეფასებას.

დანართი #1

დამტკიცებული რექტორის 2012 წლის 12 ოქტომბრის # 281/12 ბრძანებით

ცვლილება #1 რექტორის 2012 წლის #342/12 ბრძანებით

ცვლილება №2 დამტკიცებული შპს „საქართველოს

უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრების 2014 წლის 30 მაისის 5/14 ოქმით

ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით

- კომისიის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს უნივერსიტეტის დირექტორი ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის დირექტორი, ინსტიტუტის დირექტორი, უნივერსიტეტის სკოლების დირექტორები ან პროფესორები, კანცლერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, საფინანსო სამსახურის უფროსი და კომისიის მდივანი - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი. (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)
- კომისიას თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის დირექტორი ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის დირექტორი, მათი არყოფნის შემთხვევაში - ინსტიტუტის დირექტორი. (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)
- სკოლის დირექტორი უფლებამოსილია სხდომაზე არყოფნის ან ინტერესთა კონფლიქტის დროს სხდომის წევრად მოიწვიოს შესაბამისი სკოლის დეპარტამენტის უფროსი.
- კანცლერი უფლებამოსილია სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში, სხდომის წევრად მოიწვიოს მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის წარმომადგენელი.
- ყველა სკოლა კომისიას წელიწადში ერთხელ (15 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე) წარუდგენს პროექტს დასაფინანსებლად. კომისია იღებს გადაწყვეტილებას რომელი პროექტები დაფინანსდეს. 20 ნოემბრის შემდგომ პირველ პარასკევს იკრიბება კომისიის სხდომა და გამოაქვს გადაწყვეტილება, რის შემდეგ პროექტი აისახება უნივერსიტეტის ახალი სასწავლო წლის ბიუჯეტში.
- სამივლინებო გრანტთან დაკავშირებით კომისია ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის შინაგანაწესის მუხლი 16¹-ით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8. ამოღებულია

ამოღებულია. (ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით)

მუხლი 9. სამეცნიერო ჟურნალის რედაქცია

- კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალი მიზნად ისახავს გამოაქვეყნოს ორიგინალი კვლევები, შეფასებები, სტატიები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც კავკასიის მკვიდრთათვის, ასევე კავკასიის რეგიონით დაინტერესებულ პირთათვის.
- ჟურნალმა უნდა მოახდინოს კვლევების, კრიტიკული აზროვნებისა და თანამედროვე მიმართულებების სტიმულირება.
- ჟურნალში ქვეყნდება შემდეგი თემატიკის საკითხები: ანთროპოლოგია, არქეოლოგია, განათლება, გეოგრაფია, ისტორია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ლინგვისტიკა, პოლიტიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია. სხვა თემატიკის სტატიები განიხილება ჟურნალის მიმართულებასთან შესატყვისობის მიხედვით.